თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1

20 აპრილი , 2022 წელი

ქ. თერჯოლა

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ლაშა გოგიაშვილი- მერი-თავმჯდომარე
2. მანუჩარ რობაქიძე -მერის მოადგილე თანათავმჯდომარე.
3. მირზა ქოჩიაშვილი -მერის მოადგილე წევრი

4. ავთანდილ ურიადმყოფველი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი.

5. გოდერძი თურქაძე -სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - წევრი.

6. მარინა გაბეხაძე -საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის,საფინანსო-სახაზინო განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი - წევრი.

7. არჩილ ქოჩიაშვილი - ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - წევრი.

8. აკაკი ქურციკიძე - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ - წევრი.

9. გურამი თურქაძე - განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - წევრი.

10. დიანა ფოცხვერაშვილი - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - წევრი.

11. ტარიელ ფანჩულიძე - ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავების და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის ხელმძღვანელი - წევრი.

12. სოსო დევიძე - ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი - წევრი.

13.ნინო ოქრუაძე- ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელის მ/შ - წევრი.

14. ირაკლი ჩხეიძე - ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი - წევრი.

15. თამილა არჯევანიძე - ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი - წევრი.

16. პაატა გოგიაშვილი - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - წევრი.

17. ნათია სახეჩიძე - იურიდიული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ - წევრი.

18. სოსო არაბიძე - შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- წევრი

19. მაია თორთლაძე - ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი - წევრი

20. ლაშა ლანჩავა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე სამუშაო ჯგუფის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. (მომხსენებელი ა. ურიადმყოფელი).

2. ინფორმაცია 2022 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ. (მომხ. ა ურიადმყოფელი)

მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის,სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის-ავთანდილ ურიადმყოფელის მოხსენება, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა ჯგუფის წევრებს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 თებერვლის N 137

დადგენილების შესახებ, მან ასევე ხაზი გაუსვა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3-ე ნაწილს და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანებას,რომლის მიხედვით,თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 1 მარტის მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და შემუშავებულ იქნა 2022-2023 წლის შიდა საბიუჯეტო კალენდარი, დანართი 2-ის შესაბამისად. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში რომ ,ჯგუფის თითოეული წევრი გულისყურით და პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ ყოვლისმომცველი დოკუმენტის მომზადებისათვის სამუშაოების ჩატარების პროცესს. ბიუჯეტის კალენდრის მიხედვით მთელი რიგი აქტივობები გაწერილია მიმდინარე წლის 1-ლი მარტიდან მომავალი წლის 1-ელ მარტამდე ანუ პრიორიტეტების დოკუმენტის საკრებულოზე განხილვიდან 2022 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის მოსმენამდე. ამ პერიოდისათვის ჩვენ უნდა გავეცნოთ თითოეული სამსახურის 2023-2026 წლების პრიორიტეტების ჩამონათვალს, რომელიც უნდა დახარისხდეს მათი მიზნობრიობის (მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე) და რა თქმა უნდა ეფექტიანობის მიხედვით ამის შემდეგ მოხდება მათი პროგრამული დამუშავება .

აზრი გამოთქვეს: მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, რომელმაც სრული მხარდაწერა გამოუცხადა საფინანსო -სამსახურს ზემოთ აღნიშნულ საკითხში და დააავალა ააიპებს და სამსახურებს სრული ჩართულობით ემუშავათ დასახული ამოცანების წარმატებულად განხორციელებისათვის.

2. მოისმინეს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის,სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის ა.ურიადმყოფელის მოხსენება მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ. მან აღნიშნა რომ, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2021 წლის14 დეკემბრის N21 დადგენილებით 13500.0 ათ.ლარის ოდენობით. 2022 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 1679,3 ათას ლარს.2022 წლის სამ თვეში ბიუჯეტის ცვლილება სამჯერ განხორციელდა და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 22789,3 ათასი ლარით. 2022 წლის სამ თვეში ფაქტიური შემოსულობები 5412,8 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასხდელები 4338,6 ათას ლარს შეადგენს 2022 წლის 1 აპრილისათვის ნაშთი არის 1074,2 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" 2022 წელში გამოეყო დაფინანსება 2889,3 ათასი ლარი. დეტალური ანალიზი თან ერთვის დანართის სახით.(დანართი 18 ფურცელი).

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ააიპის ხელმძღვანელები და სამსახურის უფროსები.

1.სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი მაია თორთლაძე.

2.დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის ხელ-ლი ტარიელ ფანჩულიძე.

3.სივრცითი მოწყობის ,ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი გოდერძი თურქაძე.

4. განათლების, კულტურის,სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- გურამ თურქაძე

5.ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - დიანა ფოცხვერაშვილი

6.ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ- აკაკი ქურციკიძე.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დადგინდა:

1. 2022 წლის 15-ივლისამდე სამუშაო ჯგუფის მიერ შეირჩეს პრიორიტეტები რათა 1-აგვისტომდე მოესწროს მათი პროგრამულად დამუშავება .

2. არასამეწარმეო(არაკომერციულმა)იურიდიულმა პირებმა და შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყოს (შიდა საბიუჯეტო კალენდრის სრული დაცვით) ყველა იმ სამუშაოს ჩატარება რომელიც გათვალისწინებულია დანართი N-2-ის მიხედვით.

3. სამუშაო ჯგუფის მიერ დამაკმაყოფილებლად შეფასდეს მუნიციპალიტეტის 2022 წლის 1 კვარტლის შედეგები.

ოქმი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით

1. / ლაშა გოგიაშვილი/

2. /მანუჩარ რობაქიძე/

3. /მირზა ქოჩიაშვილი/

4. / ავთანდილ ურიადმყოფელი/

5. /გოდერძი თურქაძე/

6. /არჩილ ქოჩიაშვილი/

7. /აკაკი ქურციკიძე/

8. /მარინა გაბეხაძე /

9. /გურამი თურქაძე /

10. /დიანა ფოცხვერაშვილი/

11. /პაატა გოგიაშვილი/

12. /სოსო არაბიძე/

13. /ტარიელ ფანჩულიძე/

14. /სოსო დევიძე/

15. /ნინო ოქრუაძე/

16. /ირაკლი ჩხეიძე/

17. /თამარ არჯევანიძე/

18. /ნათია სახეჩიძე/

19. /მაია თორთლაძე/

20. / ლაშა ლანჩავა/